ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №29

19 აპრილი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (28.02.2019, 12-031905990-03).

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

სხდომა წარიმართა ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, სარევიზიო, განათლებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან ერთად.

მომხსენებელი:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

გ.თალაკვაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განსაზღვრული იყო 1,052,185.7 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1,094,094.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 104%.

მოკლედ წარმოდგიდგენთ 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანაგარიშში წარმოდგენილ ხარჯებს დედაქალაქში სატრანსპორტო მიმართულებით:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები 2018 წლის გეგმით განსაზღვრული იყო - 46,690.4 ათასი ლარით, დაფინანსდა და განხორციელდა 46,338.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია. პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც დეტალურადაა ასახული დოკუმენტში, მაგრამ მაინც გამოვყოფ რამდენიმეს.

2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, განხორციელდა დედაქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემის მოვლა-შენახვა და ექსპლუატაციის სამუშაოები.

საკონსულტაციო კომპანია „SYSTRA SA FRANGE" და შპს ,,SPECTRUM CONSULTING"-ის ერთობლივი საწარმოს მიერ განხორციელდა თბილისში, „ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის დანერგვის შესახებ" მომსახურების გაწევა.

ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში მგზავრთა მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) და საავტობუსო ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაცია.

2018 წლის ბიუჯეტით საბაგირო ტრანსპორტის განვითარება დაფინანსდა 9,876.7 ათასი ლარით, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდა ,,რიყე-ნარიყალა"-ს საბაგირო გზის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა 69.0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, მიმდინარეობს სსიპ ,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით მშენებლობა.

თ. ისაკაძე - დაფინანსდა მნიშვნელოვანი პროექტები და თანხები მაქსიმალურად არის ათვისებული, რაც მისასალმებელია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (28.02.2019, 12-031905990-03) განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე